შეტანილია ცვლილებები
საქართველოს მთავრობის
09/19/2013 N 1375
12/27/2013 N 2191
03/13/2014 N 424
განკარგულებებით

საქართველოს მთავრობის
განკარგულება
N1117 2013 წლის 26 აგვისტო ქ. თბილისი

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკისა და სოფლის ამბულატორიების მშენებლობის დასაფინანსებლად სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის 2013 წლის 20 აგვისტოს სხდომაზე მოწონებულ იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინადადება საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში 81 სოფლის ამბულატორიისა და გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკის მშენებლობის თაობაზე.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს გამოუყოს 3 900 000 (სამი მილიონ ცხრაასი ათასი) ლარი, მათ შორის:

ა) სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში სოფლის ამბულატორიების მშენებლობისთვის - 2 400 000 (ორი მილიონ ოთხასი ათასი)ლარი;

ბ) გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკის მშენებლობისთვის - 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი.

3. სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული

ამბულატორიების მშენებლობის ადგილმდებარეობის შერჩევა და საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება განახორციელოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

პრემიერ-მინისტრი *ბიძინა ივანიშვილი*

საქართველოს მთავრობის
განკარგულება
№1375 2013 წლის 19 სექტემბერი ქ. თბილისი

„გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკისა და სოფლის ამბულატორიების მშენებლობის დასაფინანსებლად სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №1117 განკარგულებაში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკისა და სოფლის ამბულატორიების მშენებლობის დასაფინანსებლად სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის საქარ-თველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №1117 განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების სახელმწიფო შესყიდვა სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით .“.

პრემიერ-მინისტრი *ბ. ივანიშვილი*

საქართველოს მთავრობის
განკარგულება
N2191 2013 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

„გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკისა და სოფლის ამბულატორიების მშენებლობის დასაფინანსებლად სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N1117 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკისა და სოფლის ამბულატორიების მშენებლობის დასაფინანსებლად სსიპ –საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N1117 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ამბულატორიების სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით, პროექტის შესრულებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების დაფინანსება განხორციელდება „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის დამტკიცებული „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი – 25 03 01) განსაზღვრული ასიგნებებიდან“.

პრემიერ-მინისტრი *ირაკლი ღარიბაშვილი*

საქართველოს მთავრობის
განკარგულება
N424 2014 წლის 13 მარტი ქ.თბილისი

„გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკისა და სოფლის ამბულატორიების მშენებლობის დასაფინანსებლად სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №1117 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკისა და სოფლის ამბულატორიების მშენებლობის დასაფინანსებლად სსიპ -საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №1117 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებას დაემატოს მე-5 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

,,5. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ამბულატორიების სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით, პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების დაფინანსება 24 300 (ოცდაოთხი ათას სამასი) ლარის ფარგლებში, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელოს ,,საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის დამტკიცებული ,,საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი: 25 03 01) განსაზღვრული ასიგნებებიდან.“.

პრემიერ-მინისტრი *ირაკლი ღარიბაშვილი*